ამოცანა 1

პურის ფასი შემცირდა 2-ჯერ. რამდენი პროცენტით შემცირებულა ფასი?

ა) 75%-ით
ბ) 40%-ით
გ) 20%-ით
დ) 50%-ით

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 2

ნინომ ნამცხვრის გამოსაცხობად შაქარი და ფქვილი უნდა აიღოს 2:3 პროპორციით. რამდენი გრამი შაქარი არის საჭირო ნამცხვრის გამოსაცხობად, თუ შაქრის და ფქვილის მასა ერთად 1 კგ-ია?

ა) 400
ბ) 200
გ) 300
დ) 500

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 3

$$\frac{ab^2 - ba^2}{ab} =$$

ა) 0
ბ) $a-b$
გ) $b-a$
დ) 1

სწორი პასუხია: გ)

ამოცანა 4

მოცემულია 10 რიცხვი. პირველი 6 რიცხვის საშუალო არითმეტიკულია 4, ხოლო დანარჩენი 4 რიცხვის საშუალო არითმეტიკულია 6. იპოვეთ მოცემული 10 რიცხვის საშუალო არითმეტიკული.

ა) 5
ბ) 4
გ) 6
დ) 4,8

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 5

გაამარტივეთ გამოსახულება $\sqrt{48}-2\sqrt{27}+3\sqrt{12}$

ა) $\sqrt{3}$
ბ) $4\sqrt{3}$
გ) 3
დ) 0

სწორი პასუხია: ბ)

ამოცანა 6

იპოვეთ $|a-2|+|2-a|$, თუ $a\in(0;2)$.

ა) 0
ბ) $2a-4$
გ) 4
დ) $4-2a$

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 7

რას უდრის $y = 3\sin x - 1$ ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა?

ა) 1
ბ) 3
გ) 2
დ) 4

სწორი პასუხია: გ)

ამოცანა 8

ავზი ორი მილით 4 საათში ივსება, მხოლოდ პირველი მილით კი - 7 საათში. რამდენ საათში გაივსება ავზი მხოლოდ მეორე მილით?

ა) 28/3 საათში
ბ) 4 საათში
გ) 3 საათში
დ) 7/4 საათში

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 9

ვთქვათ $f(x) = 3x - 2$, მაშინ

ა) $f(x+1) = 3x + 1$
ბ) $f(x+1) = 3x$
გ) $f(x+1) = 3x - 1$
დ) $f(x+1) = 3x - 3$

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 10

მოცემული სამკუთხედის ფართობის რა ნაწილს შეადგენს იმ სამკუთხედის ფართობი, რომელიც მისი შუახაზითაა მოჭრილი?

ა) 1/2
ბ) 1/4
გ) 1/3
დ) 1/8

სწორი პასუხია: ბ)

ამოცანა 11

რას უდრის ამოზნექილი ხუთკუთხედის შიგა კუთხეთა ჯამი?

ა) 360°
ბ) 540°
გ) 720°
დ) 270°

სწორი პასუხია: ბ)

ამოცანა 12

იპოვეთ მართკუთხა ტრაპეციის პერიმეტრი, თუ მისი მცირე ფუძე 2 სმ–ია, სიმაღლე – $\sqrt{2}$ სმ, ხოლო მახვილი კუთხე 45°–ია.

ა) $6+2\sqrt{2}$ სმ
ბ) $4+2\sqrt{2}$ სმ
გ) 6 სმ
დ) $4+4\sqrt{2}$ სმ

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 13

მართკუთხა პარალელეპიპედის განზომილებებია 3 სმ, 5 სმ და 0,1 დმ. იპოვეთ მისი მოცულობა.

ა) 0,15 სმ^3
ბ) 1,5 სმ^3
გ) 15 სმ^3
დ) 150 სმ^3

სწორი პასუხია: გ)

ამოცანა 14

თუ ცილინდრის ღერძული კვეთა წარმოადგენს კვადრატს, რომლის გვერდი 3სმ-ია, მაშინ ამ ცილინდრის გვერდითი ზედაპირის ფართობი ტოლია

ა) 36π სმ^2
ბ) 18π სმ^2
გ) 24π სმ^2
დ) 9π სმ^2

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 15

მოცემულია სალომეს მიერ უცხო ენაში მიღებული ქულების სიხშირეთა ცხრილი. იპოვეთ მონაცემთა ერთობლიობის მოდა.

ქულა	6	7	8	9	10
სიხშირე	1	4	3	0	2

ა) 6
ბ) 7
გ) 8
დ) 10

სწორი პასუხია: ბ)